ხელშეკრულება № 9

ქ. კასპი 25 მაისი 2011 წელი

შ.პ.ს. „კასპის კეთილმოწყობა", შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ გოცირიძის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე ერთი მხრივ და შპს „სტ ოილ" შემდგომში „გამყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ მირესაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე მეორე მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „გამყიდველი"-ს მიერ „მყიდველისათვის" საწვავის მიწოდება (შემდგომში „მომსახურება");
1.2. მომსახურება ხორციელდება ტალონური სისტემის მეშვეობით „გამყიდველი"-ს ავტგასამართ სადგურებზე.

2. მომსახურების განხორციელების პირობები

2.1. „გამყიდველი" „მყიდველს" მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს საწვავის ტალონებს;
2.2. მიღება-ჩაბარების აქტი მოიცავს საწვავის სახეობას, ტალონების ნომინალს და ინდივიდუალურ ნომერს, საწვავის საერთო რაოდენობას, ტალონების რაოდენობას, ტალონების მოქმედების ვადას, სწავავის ფასს და საერთო ღირებულებას;
2.3. „მყიდველი" ვალდებულია, მისთვის გადაცემულ ტალონზე დასვას ბეჭედი ტალონის უკანა გვერდზე, მითითებულ ადგილას;
2.4. ბეჭდის არქონის შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია ხელი მოაწეროს ტალონის უკანა გვერდზე მითითებულ ადგილას;
2.5. მიღება-ჩაბარების აქტით, ტალონების გადაცემის შემდეგ, „მყიდველზე" გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების დაკარგვის რისკი და „გამყიდველი" თავისუფლდება ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისაგან;
2.6. „მყიდველზე" გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას;
2.7. ტალონით საწვავის გაცემისას, დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

3. მომსახურების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. მხარეები წინასწარ თანხმდებიან მომსახურების ფასზე, რომელიც აისახება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.
3.1. ერთი ლიტრი ბენზინის საშუალო ღირებულებაა 2,15 ლარი (ევრო რეგულარი); დიზელის – 2,25 ლარი.
3.1.1. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
ა)ბენზინი ევრო რეგულარი-4330 ლიტრი ღირებულებით 9309.50 ლარი. ბ)დიზ.საწვავი-530 ლიტრი ღირებულებით 1192.50 ლარი.
3.1.2. სულ ერთი თვით საწვავის ღირებულება შეადგენს 10502(ათი ათას ხუთას ორი) ლარს.
3.1.3. საქონლის მოწოდება განხორციელდება 2011 წლის 31 მაისის ჩათვლით.
3.2. მომსახურების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, მისი საბაზრო ღირებულების შესაბამისად;
3.3. „მყიდველი" წინასწარ ან კონსიგნაციის წესით იხდის „მომსახურების" ღირებულებას ეროვნულ ვალუტაში – ლარში;
3.4. „მყიდველის" მიერ „ნასყიდობის საგნის" კონსიგნაციის წესით შესყიდვის შემთხვევაში, მისი ღირებულების გადახდა მოხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით

myidveli:_____ gamyidveli: _____
(xelmowera) *(xelmowera)*

დადგენილ ვადაში, რომელიც განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ბუღალტერიის მიერ შედგენილ შესაბამის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში;
3.5. „მყიდველის“ მიერ გადახდის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება „ნასყიდობის საგნის“ საფასურის სრული თანხის წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 პუნქტში მითითებულ „გამყიდველის“ საბანკო ანგარიშზე ან „გამყიდველის“ სალაროში შესაბამისი ნაღდი თანხით მიღების მომენტიდან;
3.6. „მყიდველი“-ს მიერ მხარეთა ურთიერთშეთანხმებული კონსიგნაციის ვადის დარღვევის შემთხვევაში „გამყიდველი“ უფლებამოსილია დაარიცხოს და მოთხოვოს „მყიდველს“ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ასანაზღაურებელი თანხის 0,5%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით „გამყიდველმა“ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;
3.7. გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების წესით;
3.8. უნაღდო ანგარიშსწორების დროს გადახდის თარიღად ჩაითვლება „გამყიდველი“-ს საბანკო ანგარიშზე თანხის დარიცხვის დღე;

3.9. ვადაგადაცილებულად ჩაითვლება დავალიანება, თუ „მყიდველი“ არ დაფარავს „გამყიდველი“-ს მიმართ არსებულ დავალიანებას ამ ხელშეკრულების დანართში ან/და ბუღალტრულ ანგარიშფაქტურაში მითითებულ ვადაში;
3.10. ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში, „გამყიდველი“-ს მოთხოვნის შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „გამყიდველს“ ვალუტის კურსის ცვლილებით მიყენებული ზიანი. ზიანის ოდენობა განისაზღვრება ეროვნული ვალუტის აშშ დოლარის მიმართ გაუფასურების პროპორციულად დავალიანებიუს სრულ მოცულობაზე გადაანგარიშებით;
3.11. ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში, „გამყიდველი“-ს მოთხოვნის შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „გამყიდველს“ საწვავის საერთაშორისო ფასის ზრდით მიყენებული ზიანი. ზიანის ოდენობა განისაზღვრება საწვავის საერთაშორისო ფასის ზრდის პროპორციულად დავალიანების სრულ მოცულობაზე გადაანგარიშებით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. „გამყიდველი“ ვალდებულია „მყიდველი“-ს განცხადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში გადასცეს „მყიდველს“ ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს შესაბამისი ტალონები და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
4.2. მყიდველი ვალდებულია:
4.2.1. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მოახდინოს ანგარიშსწორება „გამყიდველთან“;
4.2.2. საწვავის ტალონების „მყიდველის“ წარმომადგენლისათვის გადაცემისათვის, ეს უკანასკნელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მისი უფლებამოსილება ტალონების მიღებასთან დაკავშირებით;
4.2.3. უფლებამოსილი პირის ცვლილებებთან დაკავშირებით, „მყიდველი“ ვალდებულია „გამყიდველს“ დაუყონებლივ მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2011 წლის 10 ივნისის ჩათვლით;
5.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ვალდებულებათა შრსრულება შეუძლებელია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო;

myidveli:_____ gamyidveli: _____
(xelmowera) *(xelmowera)*

6.2. ფორს-მაჟორულ გარემოებებში იგულისხმება ისეთი მოვლენები, რომლების არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა აღკვეთა აღემატება მხარეთა შესაძლებლობებს;
6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები დამატებით შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადაზე.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყველა სადაო საკითხი გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;
7.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლების წარმოიშობა მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, განიხილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ:
„გამყიდველს“ უფლება აქვს, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის ამ ხელშეკრულების შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადასცეს „თბილისის საარბიტრაჟო პალატას“, „დავების განხილვის ცენტრს“ , „დამოუკიდებელ საარბიტრაჟო სასამართლოს“ ან „გამყიდველი“-ს მიერ შერჩეულ ნებისმიერ კერძო არბიტრაჟს

8. სხვა პირობები

8.1. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით;
8.2. ტალონების მოქმედების ვადა განისაზღვრება „მყიდველისათვის“ ტალონების გადაცემიდან, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუმეტეს 3 (სამი) თვისა;
8.3. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ან მისი სხვა პუქნტების ბათილობას;
8.4. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება „გამყიდველს“, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცემა - „მყიდველს“.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

შ.პ.ს. „კასპის კეთილმოწყობა“
მისამართი: ქ.კასპი კოსტავას ქ. №4 ტელ. 2-39-98
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 232556659; ა/ნ GE56LB0113162500148000
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ კასპის ფილიალი ს/კ 220101478;

„გამყიდველი“
შპს „სტ ოილ“
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №1
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205169538
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ მცხეთის ფილიალი ს/კ 220101415;

ა/ა GE76LB0113171202103000;

„შემსყიდველი“
შ.პ.ს. „კასპის კეთილმოწყობის“

დირექტორი

გრიგოლ გოცირიძე

myidveli:_____
(xelmowera)

„გამყიდველი“
შპს „სტ ოილ“-ის

დირექტორი
თეიმურაზ მირესაშვილი

gamyidveli: _____
(xelmowera)